აუდიტის დასკვნა

დამკვეთი

უცხოური საწარმოს ფილიალი

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

აუდიტორი

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

205279660

ვიქტორ დოლიძის ქ. #2.

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ... 3
მოსაზრება ... 3
მოსაზრების საფუძველი ... 3
სხვა ინფორმაცია ... 3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე ... 3
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში ... 4
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ ... 4
სრული შემოსავლის ანგარიშგება ... 5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ... 6
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება ... 7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ... 8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ... 9
ძირითადი საქმიანობა ... 9
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი ... 10
ფუნქციონირებადი საწარმო ... 10
უცხოური ვალუტის ოპერაციები ... 10
ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები ... 10
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ... 12
სასაქონლო-მატერიალური მარაგები ... 12
დამატებითი ღირებულების გადასახადი ... 12
ძირითადი საშუალებები ... 13
კომპანია როგორც მოიჯარე ... 13
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ... 13
სესხები ... 13
საწესდებო კაპიტალი ... 14
დივიდენდები ... 14
შემოსავალი ... 14
ხარჯები ... 14
რისკის მართვა ... 20
ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება ... 21
პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები ... 22
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ... 22
ბალანსის შემდგომი მოვლენები ... 23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

„ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი“-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ „ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად,მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. გარდა ქვემოთ -„დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა,

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად,.

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

30 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად,.

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

30 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	**2023**	**2022**
შემოსავალი მომსახურებიდან	**3**	312,700,166	345,772,860
პროექტის თვითღირებულების ხარჯი	**4**	(366,708,768)	(369,533,872)
მთლიანი მოგება		**(54,008,602)**	**(23,761,013)**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**5**	(9,683,236)	(10,380,906)
სხვა საოპერაციო ხარჯები	**6**	(10,415,750)	(569,683)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	**7**	3,223,731	225,255
საოპერაციო მოგება		**(70,883,857)**	**(34,486,347)**
ფინანსური შემოსავლები	**8**	1,841,678	32,584,842
მოგება დაბერგვრამდე		**(69,042,179)**	**(1,901,505)**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		**(69,042,179)**	**(1,901,505)**
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		1,360,062	2,030,742
სულ სრული შემოსავალი		**(67,682,117)**	**129,237**

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

_____ _____

დირექტორი - ვ. ფუჭუა ***ფინანსური დირექტორი - ბ. შავიშვილი***

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი მომსახურებიდან	3	312,700,166	345,772,860
პროექტის თვითღირებულების ხარჯი	4	(366,708,768)	(369,533,872)
მთლიანი მოგება		**(54,008,602)**	**(23,761,013)**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(9,683,236)	(10,380,906)
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(10,415,750)	(569,683)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	7	3,223,731	225,255
საოპერაციო მოგება		**(70,883,857)**	**(34,486,347)**
ფინანსური შემოსავლები	8	1,841,678	32,584,842
მოგება დაბერგვრამდე		**(69,042,179)**	**(1,901,505)**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		**(69,042,179)**	**(1,901,505)**
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		1,360,062	2,030,742
სულ სრული შემოსავალი		**(67,682,117)**	**129,237**

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ვ. ფუჰუა

ფინანსური დირექტორი - ბ. ძვიშვილი

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	**9**	67,663,918	79,374,513
არამატერიალური აქტივები		43,455	43,455
სულ გრძელვადიან აქტივები		**67,707,373**	**79,417,967**
მიმდინარე აქტივები			
გადახდილი გადასახადები		12,624,720	5,431,543
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**10**	21,321,658	24,872,630
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**11**	129,097,553	141,353,825
მოთხოვნები საგარანტიო თანხებზე		-	5,337,216
ფული და ფულის ექვივალენტები	**12**	10,191,947	46,031,935
სულ მიმდინარე აქტივები		**173,235,877**	**223,027,149**
სულ აქტივები		**240,943,251**	**302,445,117**
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		(37,164,848)	31,877,331
გადაფასების რეზერვი		3,390,804	2,030,742
სულ კაპიტალი		**(33,774,044)**	**33,908,073**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	**13**	139,848,424	140,503,622
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**139,848,424**	**140,503,622**
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**14**	127,037,826	122,373,224
გადასახდელი ხელფასები		7,831,045	5,660,198
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**134,868,872**	**128,033,422**
სულ ვალდებულებები		**274,717,295**	**268,537,044**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**240,943,251**	**302,445,117**

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

_____ _____

დირექტორი - ვ. ფუჭუა ***ფინანსური დირექტორი - ბ. შავიშვილი***

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	9	67,663,918	79,374,513
არამატერიალური აქტივები		43,455	43,455
სულ გრძელვადიან აქტივები		**67,707,373**	**79,417,967**
მიმდინარე აქტივები			
გადახდილი გადასახადები		12,624,720	5,431,543
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10	21,321,658	24,872,630
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	129,097,553	141,353,825
მოთხოვნები საგარანტიო თანხებზე		-	5,337,216
ფული და ფულის ექვივალენტები	12	10,191,947	46,031,935
სულ მიმდინარე აქტივები		**173,235,877**	**223,027,149**
სულ აქტივები		**240,943,251**	**302,445,117**
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		(37,164,848)	31,877,331
გადაფასების რეზერვი		3,390,804	2,030,742
სულ კაპიტალი		**(33,774,044)**	**33,908,073**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	13	139,848,424	140,503,622
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**139,848,424**	**140,503,622**
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	127,037,826	122,373,224
გადასახდელი ხელფასები		7,831,045	5,660,198
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**134,868,872**	**128,033,422**
სულ ვალდებულებები		**274,717,295**	**268,537,044**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**240,943,251**	**302,445,117**

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ვ. ფუჭუა

ფინანსური დირექტორი - ბ. ძვიძვილი

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	გაუნაწილებელი მოგება	რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	**33,778,836**	**-**	**33,778,836**
წმინდა მოგება	(1,901,505)	-	(1,901,505)
გადაფასების რეზერვი	-	2,030,742	2,030,742
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	**31,877,331**	**2,030,742**	**33,908,073**
წმინდა მოგება	(69,042,179)	-	(69,042,179)
გადაფასების რეზერვი	-	1,360,062	1,360,062
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	**(37,164,848)**	**3,390,804**	**(33,774,044)**

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

_____ _____

დირექტორი - ვ. ფუჰუა ***ფინანსური დირექტორი - ბ. შავიშვილი***

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	გაუნაწილებელი მოგება	რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	**33,778,836**	**-**	**33,778,836**
წმინდა მოგება	(1,901,505)	-	(1,901,505)
გადაფასების რეზერვი	-	2,030,742	2,030,742
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	**31,877,331**	**2,030,742**	**33,908,073**
წმინდა მოგება	(69,042,179)	-	(69,042,179)
გადაფასების რეზერვი	-	1,360,062	1,360,062
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	**(37,164,848)**	**3,390,804**	**(33,774,044)**

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ვ. ფუჭუა

ფინანსური დირექტორი - ბ. მავიშვილი

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	(69,042,179)	(1,901,505)
კორექტირება :		
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	10,238,294	370,649
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი/(მოგება)	(1,269,396)	1,389,240
ძირითადი საშუალების ცვეთის ხარჯი	18,139,294	16,114,480
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(1,406,871)	(32,214,817)
ფინანსური შემოსავალი	(434,807)	(370,025)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	**(43,775,665)**	**(16,611,978)**
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	17,348,341	(31,118,713)
ცვლილებები საგარანტიო მოთხოვნებზე	5,337,216	(5,337,216)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	3,550,972	(4,782,968)
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	(7,193,177)	(12,892,724)
ცვლილებები წინასწარ გაწეულ ხარჯებში	(0)	29,227,278
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	4,442,423	(108,194,550)
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	2,170,847	2,665,742
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(18,119,042)**	**(147,045,128)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების გასვლა	243,494	1,011,006
ძირითადი საშუალების მიღება	(15,550,425)	(20,449,007)
შემოსავალი დეპოზიტებიდან	434,807	370,025
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(14,872,124)**	**(19,067,975)**
გრძელვადიანი სესხის აღება	0	145,080,261
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**0**	**145,080,261**
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(2,848,821)	(4,367,035)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	**(35,839,988)**	**(25,399,876)**
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	46,031,935	71,431,813
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	**10,191,947**	**46,031,936**

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ვ. ფუჰუა

ფინანსური დირექტორი - ბ. შავიშვილი

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	(69,042,179)	(1,901,505)
კორექტირება :		
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	10,238,294	370,649
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი/(მოგება)	(1,269,396)	1,389,240
ძირითადი საშუალების ცვეთის ხარჯი	18,139,294	16,114,480
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(1,406,871)	(32,214,817)
ფინანსური შემოსავალი	(434,807)	(370,025)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	**(43,775,665)**	**(16,611,978)**
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	17,348,341	(31,118,713)
ცვლილებები საგარანტიო მოთხოვნებზე	5,337,216	(5,337,216)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	3,550,972	(4,782,968)
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	(7,193,177)	(12,892,724)
ცვლილებები წინასწარ გაწეულ ხარჯებში	(0)	29,227,278
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	4,442,423	(108,194,550)
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	2,170,847	2,665,742
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(18,119,042)**	**(147,045,128)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების გასვლა	243,494	1,011,006
ძირითადი საშუალების მიღება	(15,550,425)	(20,449,007)
შემოსავალი დეპოზიტებიდან	434,807	370,025
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(14,872,124)**	**(19,067,975)**
გრძელვადიანი სესხის აღება	0	145,080,261
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**0**	**145,080,261**
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(2,848,821)	(4,367,035)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	**(35,839,988)**	**(25,399,876)**
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	46,031,935	71,431,813
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	**10,191,947**	**46,031,936**

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ვ. ფუჰუა

ფინანსური დირექტორი - ბ. ძვიშვილი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

„ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი“ (შემდგომში ”ორგანიზაცია”) დარეგისტრირდა 2019 წლის 19 თებერვალს, მარეგისტრირებელი ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ნიკოლოზ დგებუაძის ქუჩა N18. კომპანია არის უცხოური საწარმოს „911100007109338178“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის“ ფილიალი (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), რომლის 100% წილის მფლობელიც არის ჩინური საწარმო. კომპანიის ფილიალის დირექტორია ვანგ ფუჰუა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე.

მშობელმა საწარმომ ბაზარზე ოპერირება დაიწყო 2018 წელს და პირველი მონაწილეობა მიიღო საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც ეხებოდა რიკოთის საუღელტეხილო გზის, უბისა-შორაპანის მონაკვეთის მშენებლობას. ტენდერში გამარჯვების შემდეგ საბანკო ანგარიშები გახსნა და საგადასახადო პორტალზე რეგისტრაცია განახორციელა უცხოურმა საწარმომ 2018 წლის დეკემბერში (საბანკო ანგარიშები გახსნილია 2018 წლის 4 დეკემბერს, საგადასახადო პორტალზე რეგისტრაცია განხორციელდა 2018 წლის 4 დეკემბერს) ხოლო 2019 წლის დასაწყისში დაარსა ფილიალი, რომელმაც დაიწყო ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

საერთაშორისო ტენდერებში გამარჯვების შედეგად, კომპანია წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის საავტომობილო გზების დეპარტამენტის კონტრაქტორ კომპანიას. ფილიალის მოქმედი პროექტებია:

1) უბისა-შორაპანი მონაკვეთზე (ჩუმათელეთი-არგვეთას მონაკვეთი E60 ავტომაგისტრალის შემადგენელი ნაწილი) გზების, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა.
პროექტის განხორციელების ვადა 2018 წლის დეკემბრიდან 2022 წლის დეკემბრამდე იყო განსაზღვრული.
პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა გაახანგრძლივა პროექტის დასრულების ვადა და ამჟამად მისი დასრულების ვადა განსაზღვრულია 2024 წლის 31 დეკემბრამდე.
2) ბაკურციხე-წნორის შემოვლითი გზის პროექტი - პროექტის განხორციელების ვადა 2021 წლის ნოემბრიდან 2024 წლის მარტი.
3) ვაზიანი-საგარეჯოს საავტომობილო გზის მშენებლობა -პროექტის განხორციელების ვადა განისაზღვრა 2021 წლის დეკემბრიდან 2024 წლის აგვისტო.

მომზადების საფუძვლები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, გარდა ახალი და შეცვლილი სტანდარტების გამოყენებისა, რომლებიც მე-3 შენიშვნაშია განხილული.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს), როგორც მოეთხოვება ქართული კანონმდებლობით.
რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.
კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა, როგორც ბაზრის და ბიზნესის რისკი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიას არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებადობაზე,

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი
ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/1 ევრო	2.9753	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით (გარიგების პირდაპირი დანახარჯების გამოკლებით, თუ ამგვარს ადგილი აქვს) და შემდგომში წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება შემდგომი შეფასება. შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:
- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არა დაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდ წილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად, მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოთხოვნები მოიცავს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართ წარმოქმნილ მოთხოვნებს, რომელიც წარმოქმნილია ფაქტიურად დადასტურებული შემოსავლების შესაბამისად. მოთხოვნები ასევე მოიცავს კონტრაქტიდან მისაღებ მოთხოვნებს რომელიც წარმოქმნილია გაწეულია დანახარჯების პროპორციით აღიარებული შემოსავლის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული მოთხოვნები დარეზერვებულია გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო–მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფად ბრუნვად მარაგებს, რომელიც გამოიყენება მშენებლობის პროცესში და ჩამოიწერება ეტაპობრივად მათი გახარჯვის მიხედვით. დაზიანებული მარაგების ჩამოწერა ხდება ხელმძღვანელობის ბრძანების მიხედვით და ასახულია მიმდინარე წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

შესრულებულ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაწეულ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. მიღებული ავანსებზე გადასახდელი ვალდებულებები საგადასახადო ორგანოსთან დაბეგვრას ექვემდებარება თანხის ფაქტიურად მიღების დროს, რა დროსაც შესრულებულია საგადასახადო ვალდებულება და მასთან ერთად წარმოიქმნება აქტივი წინასწარ გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადის შესაბამისად. აღნიშნული აქტივი გამოყენებას ექვემდებარება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების დროს წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულების დროს, როდესაც მოხდება იმ მომსახურების მიწოდება რომლის სანაცვლოდაც მიღებულია ავანსი.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები გარდა მიწისა შეფასებულია დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები წარდგენილია რეალური ღირებულებით.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

- შენობა-ნაგებობები - 5-8 წელი
- მანქანა დანადგარები - 3-8 წელი
- ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი
- ოფისის აღჭურვილობა - 3-5 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები - 5-6 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები - 5 წელი

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და
ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.
პერიოდის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არამატერიალური აქტივები მოიცავს საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფებს.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გაქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

სესხები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებას უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით.

შემოსავალი

შემოსავლების აღიარება ხორციელდება გამოყენებული რესურსების მეთოდის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად გაწეულია ხარჯების პროპორციულად. შემოსავლის აღიარება განხორციელდა მთლიანი ხარჯთაღრიცხვის ბიუჯეტის იმ პროპორციის შესაბამისად, რაც ფაქტობრივად იყო გაწეული საანგარიშო წლის განმავლობაში.

თუ შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებსა და დანახარჯებს აღიარებს, სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასებულად განიხილება, როდესაც შესაძლებელია სამუშაოების შესრულების სტადიის, მომავალი დანახარჯებისა და თანხების ამოღების შესაძლებლობის საიმედოდ შეფასება. ამონაგების აღიარებისათვის გამოიყენება ფასს 23 თავით განსაზღვრული პროპორციული აღიარების მეთოდი. საანგარიშო პერიოდების მანძილზე პროპორციული აღიარების მეთოდის მიხედვით, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯების შეფასებულ თანხასთან მიმართებით და ამ თანაფარდობის გამოყენებას ხელშერკულების მიხედვით შემოსავალების აღიარებისათვის.

პროექტის თვითღირებულების ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში,
როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

პროექტის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს პროექტის გახორციელებასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს, რომელიც მოიცავს პირდაპირი და დამხმარე მასალის ხარჯებს, მშენებლობასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხელფასებს, ტექნიკის ცვეთის ხარჯს და სხვა საბანკო გარანტიებზე გადახდილ საკომისიოებს.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იმ ხარჯებს, რომელიც სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად არ მიეკუთვნება პროექტის თვითღირებულების ხარჯებს, ასეთია ადმინისტრაციული ხელფასები; მომსახურების ხარჯები; იჯარის, კომუნალური; კომუნიკაციის და სხვა ხარჯებს.
ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას, რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსაღრიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტ საიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

პირობითი ვალდებულებები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. ორგანიზაციის მიმდინარე სასამართლო დავები მოიცვას შრომითი ხელშეკრულებებით წარმოქმნილ დავებს, რომლის ჯამური ღირებულება არა არსებითია და გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციაზე.

3. ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:
ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა-ფასს) სააღრიცხვო მიდგომას. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას.

ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
- სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, როდის არის მოსალოდნელი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.
სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორება) - 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 8-ის შესწორება, რომელმაც დაამატა სააღრიცხვო შეფასებების განმარტება ბასს 8-ში. შესწორებაში ასევე დაზუსტდა, რომ სააღრიცხვო შეფასებაზე ამოსავალი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილების გავლენით გამოწვეული შედეგი წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას, თუკი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილება გამოწვეული არ არის წინა პერიოდის შეცდომების გასწორებით
გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა თავდაპირველი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.15-ს დაემატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გამონაკლისთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გამონაკლისი არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს.
ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში
სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან
მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბასს 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა აგენდა გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით

გაყიდვასთანდაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარიდან.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსის არ არსებობს გრძელ ვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შეემუშავებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შენიშვნა 4 - შემოსავალი მომსახურებიდან

	2023	2022
აღიარებული შემოსავალი	311,900,451	344,995,433
სხვა შემოსავალი	799,715	777,426
სულ შემოსავალი მომსახურებიდან	**312,700,166**	**345,772,860**

შენიშვნა 5 - თვითღირებულების ხარჯი

	2023	2022
ძირითადი მასალების დანახარჯები	280,111,531	303,779,516
პირდაპირი ხელფასები	56,808,708	41,997,330
ცვეთის ხარჯი	17,563,371	15,550,637
სხვა ხარჯი	7,057,607	4,166,586
გადახდილი საკომისიოები	4,461,826	3,708,327
საწვავის ხარჯი	705,725	331,476
სულ თვითღირებულების ხარჯები	**366,708,768**	**369,533,872**

შენიშვნა 6 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
სახელფასო ხარჯები	2,974,987	3,390,159
მომსახურების ხარჯები	2,442,103	1,362,030
იჯარის ხარჯები	114,052	79,739
კომუნიკაციის ხარჯები	134,798	99,519
კომუნალური ხარჯები	25,015	37,181
დაზღვევის ხარჯები	256,806	267,710
ცვეთა და ამორტიზაცია	649,172	570,313
კომპიუტერის ხარჯები	195,868	16,309
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	694,462	717,568
საკონსულტაციო ხარჯები	116,041	106,428
მივლინების ხარჯები	45,018	245,074
სხვადასხვა მომსახურების ხარჯები	2,034,912	2,099,633
ანარიცხებიდან მიღებული ზარალი	-	1,389,240
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**9,683,236**	**10,380,902**

შენიშვნა 7 - სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023	2022
ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ზარალი	10,238,294	370,649
საურავები, ჯარიმები და გადასახადებთან დაკავშირებული ხარჯები	166,528	21,812
სხვა საოპერაციო ხარჯები	10,929	177,222
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**10,415,750**	**569,683**

შენიშვნა 8 - სხვა საოპერაციო შემოსავლები

	2023	2022
შემოსავალი ქვების მოპოვება-წარმოებიდან	1,641,478	224,756
ძირ. საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შედეგი	202,942	-
საეჭვო მოთხოვნების რეზერვების შემცირება	1,269,396	-
სხვა	109,915	499
სულ სხვა საოპერაციო შემოსავლები	**3,223,731**	**225,255**

შენიშვნა 9 - ფინანსური შემოსავლები

	2023	2022
საპროცენტო შემოსავლები	434,807	370,025
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსავალი	1,406,871	32,214,817
სულ ფინანსური შემოსავლები	**1,841,678**	**32,584,842**

შენიშვნა 10 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	**შენობა-ნაგებობი**	**მანქანა - დანადგარები**	**ოფისის აღჭურვილობა**	**ავეჯი და სხვა ინვენტარი**	**სატრანსპორტო საშუალებები**	**სხვა ძირ. საშუალებები**	**სულ ძირითადი საშუალებები**
თვითღირებულება	200,872	14,468,326	10,951,165	1,423,858	683,179	79,606,749	128,311	107,462,460
ცვეთა	-	(4,754,886)	(5,029,568)	(617,733)	(350,461)	(22,318,914)	-	(33,071,562)
ბალანსი 31/12/2021	200,872	9,713,440	5,921,597	806,125	332,717	57,287,835	128,311	74,390,898
დანამატები	-	1,798,530	3,790,691	486,528	175,459	14,197,137	661	20,449,007
აქტივების ჩამოწერა	-	(925,257)	(407,173)	(10,755)	(43,812)	(626,704)	-	(2,013,700)
აქტივის აფასება	268,180	-	1,545,493	142,428	74,644	-	-	2,030,745
აქტივის ჩამოფასება		(72,801)	(231,293)	(53,734)	(12,823)	-	-	(370,651)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(3,013,048)	(1,872,898)	(252,057)	(144,992)	(10,831,486)	-	(16,114,480)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	565,179	200,612	1,205	30,152	205,546	-	1,002,694
ბალანსი 31/12/2022	469,052	8,066,043	8,947,030	1,119,740	411,346	60,232,329	128,972	79,374,513
დანამატები	-	301,851	2,591,910	334,803	71,135	12,250,725	-	15,550,425
აქტივების ჩამოწერა	-	(51,584)	(132,594)	(5,212)	-	(255,572)	(65,920)	(510,882)
აქტივის აფასება		809,604	369,606	27,822	20,045	132,986		1,360,062
აქტივის ჩამოფასება		(1,867,080)	(4,955,608)	(671,867)	(210,611)	(2,533,128)		(10,238,294)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(2,529,630)	(2,309,959)	(325,874)	(142,789)	(12,831,042)	-	(18,139,294)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	47,022	94,070	1,154	18	125,124	-	267,388
ბალანსი 31/12/2023	469,052	4,776,227	4,604,455	480,566	149,144	57,121,421	63,052	67,663,918
ბალანსი 31/12/2022	**469,052**	**8,066,043**	**8,947,030**	**1,119,740**	**411,346**	**60,232,329**	**128,972**	**79,374,513**
ბალანსი 31/12/2023	**469,052**	**4,776,227**	**4,604,455**	**480,566**	**149,144**	**57,121,421**	**63,052**	**67,663,918**

შენიშვნა 11 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31.12.2023	31.12.2022
ნედლეული და მასალები	19,823,669	22,026,251
სხვა მცირეფასიანი სასაქონლო მარაგები	1,497,988	2,846,380
სულ ნედლეული და მასალები	**21,321,658**	**24,872,630**

შენიშვნა 12- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	28,663,719	74,277,775
მოთხოვნები კონტრაქტებიდან	74,641,797	24,697,670
გადახდილი ავანსები	26,903,379	44,759,118
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(1,111,342)	(2,380,738)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**129,097,553**	**141,353,825**

** მოძრაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხებში შემდეგია:*

	2023	2022
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი 1 იანვარს	(2,380,738)	(991,498)
(აღდგენა) / წლის დანარიცხი, წმინდა	1,269,396	(1,389,240)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი 31 დეკემბერს	**(1,111,342)**	**(2,380,738)**

შენიშვნა 13 - ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
ლარი საბანკო ანგარიშებზე	6,832,975	7,079,078
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	1,327,451	37,211,250
ნაღდი ფული სალაროში	2,031,522	1,741,607
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	**10,191,947**	**46,031,935**

შენიშვნა 14 - გრძელვადიანი სესხები

	31.12.2023	31.12.2022
დაკავშირებული მხარისგან მიღებული გრძელვადიანი სესხი	139,848,424	140,503,622
სულ გრძელვადიანი სესხები	**139,848,424**	**140,503,622**

შენიშვნა 15 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	90,463,790	73,544,044
მიღებული ავანსები	36,574,036	48,829,180
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**127,037,826**	**122,373,224**

16. რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე კომპანიამ დანაკარგების რეზერვის გამოსათვლელად გამოიყენა ფასს 9-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომა. კომპანია ამ ერთეულებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს რეზერვების მატრიცით, რომელიც მიიღება ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება მსესხებლების ვადაგადაცილების სტატუსს და კორექტირებულია მსესხებელთა სპეციფიურ ფაქტორებზე, მსესხებლის დარგის ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღში პირობების მიმდინარე და საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით. შესაბამისად, ამ აქტივების საკრედიტო რისკის პროფილი წარმოდგენილია რეზერვების მატრიცით ვადაგადაცილების სტატუსის საფუძველზე. რომელიც ნაჩვენებია შენიშვნა N9-ში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.
ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.
ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.
კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები.

31.12.2023	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2023 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	90,463,790	-	-	-	90,463,790
ნასესხები სახსრები	-	-	-	139,848,424	-	139,848,424
გადასახდელი ხელფასები	7,831,045	-	-	-	-	7,831,045
სულ ფინანსური ვალდებულებები	**7,831,045**	**90,463,790**	**-**	**139,848,423**	**0**	**238,143,259**

31.12.2022	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2022 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	73,544,044	-	-	-	73,544,044
ნასესხები სახსრები	-	-	-	-	140,503,622	140,503,622
გადასახდელი ხელფასები	5,660,198	-	-	-	-	5,660,198
სულ ფინანსური ვალდებულებები	**5,660,198**	**73,544,043**	**-**	**-**	**140,503,622**	**219,707,864**

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშვება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში კომპანია ფლობს უცხოურ ვალუტაში არსებულ ვალდებულებებს და მიღებულ ავანსებს. ასევე კომპანია მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. მიუხედავად იმისა, რომ 2023 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული დადებითი საკურსო სხვაობა წარმოქმნილია კონტრაქტით ფიქსირებული გაცვლითი კურსით, რომელის შესაბამისადაც ხდება წარმოქმნილ მოთხოვნებზე შესაბამისი ფულადი ნაკადების მიღება და რომელიც დაბალია საანგარიშო წლის ბოლოს არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსზე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები არ შეიცავს რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს.

	31 დეკემბერი 2023			31 დეკემბერი 2022		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია
აშშ დოლარი	1,735,460	(177,863,258)	(176,127,798)	69,071,792	(201,043,953)	(131,972,161)
CNY 10	12,224	-	12,224	-	-	-

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

	2023	**2022**
	გავლენა მოგება-ზარალზე	**გავლენა მოგება-ზარალზე**
აშშ დოლარის 20%_იანი გამყარება	(35,225,560)	(26,394,432)
აშშ დოლარის 20%_იანი გაუფასურება	35,225,560	26,394,432
CNY 10 20%_იანი გამყარება	2,445	-
CNY 10 20%_იანი გაუფასურება	(2,445)	-

17. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა კომპანიის მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს, ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით, იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.
სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს. ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე მიღებული სესხების, აგრე თვე, იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებების, სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა მოსალოდენლი ფულადი სა ხსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით იმ ახალი ინ სტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია.

18. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები.

ორგანიზაციის მიმდინარე სასამართლო დავები მოიცვას შრომითი ხელშეკრულებებით წარმოქმნილ დავებს, რომლის ჯამური ღირებულება არა არსებითია და გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციაზე.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მიმდინარე წელს კომპანიაში ჩატარდა საგადასახადო შემოწმება, რომლის საფუძველზეც წარმოშობილია ვალდებულება, რომელიც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნული გადაწყვეტილება არა სამართლიანია და გასაჩივრებულია ფინანსთა სამინისტროს დავების სამსახურში. ვინაიდან ჩვენ არ ვიზიარებთ შემოწმების შედეგად დამდგარ შედეგებს შესაბამისად არ მოველით რომ აღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულდება და ის არ გვაქვს ასახული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებში.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ)ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები მოიცავს :

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:	**2023**	**2022**	**კომპანია/კომპანიები**
სასესხო ვალდებულებები	139,848,424	140,503,622	მშობელი საწარმო

ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:	**2023**	**2022**	**კომპანია/კომპანიები**
მარაგების შეძენა	10,215,714	2,007,892	მშობელი საწარმო
ძირითადი საშუალებების შეძენა	1,923,527	1,120,695	მშობელი საწარმო
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	255,533	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული

მენეჯმენტზე ხელფასის სახით გადახდილი ანაზღაურება 2023 წელს შეადგენდა 146,272 ლარს ხოლო 2022 წელს შეადგინა 428,420 ლარი.

20. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიამ გაიმარჯვა ანაკლიის ტენდერში პორტის მშენებლობაზე, რაც კომპანიის მომდევნო პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი იქნება. სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები ბალანსის შემდგომ პერიოდში არ მომხდარა.

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი (უცხოური საწარმოს ფილიალი)

2023 წლის მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

2023 წელი

თბილისი

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი (უცხოური საწარმოს ფილიალი)

ს/კ 205368396

შექმნილია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის დამფუძნებელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაცია, ჩინეთის სახელმწიფო (საიდენტიფიკაციო კოდი 911100007109338178), უცხოური საწარმოს ფილიალი სახით, ჩინური მხარის 100%-იანი წილით. წარმოება რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ (რეგისტრაციის თარიღი 2019 წლის 19 თებერვალი, რეგისტრაციის #B19009626).

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩა N34

დირექტორი: ვანგ ფუჰუა, ჩინეთი

ელ.ფოსტა: crbc_geo@126.com

სარჩევი

თავი 1. ძირითადი საქმიანობა **4**

თავი 2. განვითარების პერსპექტივები **6**

თავი 3. სოციალური და დასაქმების საკითხები **7**

თავი 4. გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა **8**

თავი 5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები **9**

თავი 1. ძირითადი საქმიანობა

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალის ძირითად საქმიანობას განეკუთვნება ინფრასტრუქტურული სამშენებლო პროექტების განხორციელება საქართველოში (ავტობანების, გზების, ხიდების, გვირაბების მშენებლობა და რემონტი). საერთაშორისო ტენდერში გამარჯვების შედეგად, კომპანია წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრატსრუქტურის საავტომობილო გზების დეპარტამენტის კონტრაქტორ კომპანიას. ფილიალის დასრულებული პროექტებია:

1) უბისა-შორაპანის მონაკვეთზე ცემენტ-ბეტონის 4 ზოლიანი 13 კმ-იანი გზის, 27 ხიდისა და 18 გვირაბის მშენებლობა. გვირაბების სიგრძეები მერყეობს 300 მეტრიან 1600 მეტრამდე და 27 ხიდიდან 13 განლაგებულია თბილისი-არგვეთას მიმართულებაზე, ხოლო 14 - აგრვეთა-თბილისის მიმართულებაზე . გარდა ამისა, პროექტი მოიცავს ხელოვნური ნაგებობების მშენებლობას, წყალანირების ფუნქციონალური სისტემების და სადრენაჟე სისტემების მოწყობას და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი სამუშაოების წარმართვას.

ჩუმათელეთი-არგვეთას მონაკვეთი E60 ავტომაგისტრალის შემადგენელი ნაწილია და ერთ-ერთი ურთულესი მონაკვეთია. მშენებლობა ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტობანის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის ფარგლებში. სამუშაოებს ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს.

2) ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ 25.5 - კმ 32 სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნულ მონაკვეთს 40 წელია არ ჩატარებია რეაბილიტაცია და გზა ძლიერ დაზიანებული იყო, რაც აფერხებდა ავტოტრანსპორტის გადაადგილებას. პროექტის ფარგლებში ასევე განხორციელდება ხელოვნური ნაგებობების, ადგილობრივ გზებთან მიერთებების, გზის კუთვნილებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები; თვალამრიდების, ბეტონის კიუვეტებისა და გვერდულების მოწყობის სამუშაოები.ასევე, ხორციელდება ქვათაცვენის საწინააღმდეგო ლითონის ბადეების მოწყობა.
სამუშაოებს მსოფლიო ბანკი აფინანსებს.

3) გურიის რეგიონში 9 სხვადასხვა საგზაო მონაკვეთზე, ჯამურად დაახლოებით 63 კმ-მდე სარეაბილიტაციო სამუშაოები.რეაბილიტაცია ჩაუტარდება შემდეგ საგზაო მონაკვეთებს: ჩოხატაური-ბახმაროს გზის 24.5 კმ-იან მონაკვეთს, ჩოხატაური-ზომლეთის გზის 10.3 კმ-იან მონაკვეთს, ოზურგეთი-ნატანები-ურეკის გზის 2.8 კმ-იან მონაკვეთს და საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის გზის 25.6 კმ-იან მონაკვეთს.
პროექტის ფარგლებში, აღნიშნულ საგზაო მონაკვეთებზე დაგეგმილია: გზის საფუძვლის განახლება და გაუმჯობესება, ახალი ხელოვნური ნაგებობების (წყალგამტარი მილები, საყრდენი კედლები და სხვა) მოწყობა, ახალი ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა, მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესება, საგზაო ნიშნების მოწყობა და გზის სავალი ნაწილის მონიშვნა და შემოფარგვლა.
სამუშაოებს მსოფლიო ბანკი აფინანსებს.

4) <u>ბაკურციხე-წნორის შემოვლითი გზა</u>
ბაკურციხე-წნორის შემოვლითი გზის პროექტი ითვალისწინებს 16.6 კილომეტრი სიგრძის, 2-ზოლიანი, ასფალტ-ბეტონის საფარიანი გზის, 6 ხიდის და ორი სატრანსპორტო კვანძის (გზაგამტარის) მშენებლობას.
ბაკურციხე-წნორის შემოვლითი გზა კახეთის ერთ-ერთი ძირითადი გზის (თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის) ნაწილია, რომელიც მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე გადის და სატრანზიტო მოძრაობის მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა.
ახალი გზა გვერდს აუვლის მჭიდროდ დასახლებულ წნორსა და 6 მიმდებარე სოფელს (ბაკურციხეს, კარდენახს, ანაგს, ვაქირს, მაშნაარს და საქობოს).
ახალი შემოვლითი გზა ალაზნის ველის მხარეს აშენდება და თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვრის საერთაშორისო გზას არსებულ შიდასახელმწიფოებრივ გზასთან დააკავშირებს.

5) ვაზიანი-საგარეჯოს საავტომობილო გზა ლოტი-1 იწყება კმ 04+040-ზე, მდებარეობს ვაზიანის კვანძთან, დასასრული კმ 27+840 მდებარეობს ნინოწმინდამდე, საგარეჯოს კვანძის აღმოსავლეთით.
პროექტი ითვალისწინებს 23,8 კმ საავტომობილო გზის და 13 სახიდე გადასასვლელის მშენებლობას.
თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთი, თბილისიდან კახეთის მიმართულებით დამაკავშრებელი ძირითადი მაგისტრალის და ასევე აზერბაიჯანის ჩრდილო–დასავლეთ რეგიონთან დამაკავშირებელ სატრანზიტო კორიდორის ნაწილია. არსებული გზა ისეთ მჭიდროდ დასახლებულ სოფლებსა და ქალაქებში გადის როგორებიცაა: ვაზიანი, სართიჭალა, ნინოწმინდა და საგარეჯო.
კახეთისთვის, როგორც ტურისტული თვალსაზრისით ყველაზე მზარდი ინტერესის მქონე რეგიონისთვის, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, კარგად განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურა ძალიან მნიშვნელოვანია.

კომპანია წარმოადგენს პირველი კატეგორიის საწარმოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არის საერთაშორისოდ აღიარებული კომპანია CRBC (China Road and Bridge Corporation https://www.crbc.com/site/crbcEN/index.html) ფილიალი საქართველოში. შესაბამისად სარგებლობს ყველა იმ ბენეფიტით, რასაც აღნიშნული ორგანიზაციის ბრენდი (ლოგო) ითვალისწინებს.

თავი 2. განვითარების პერსპექტივები

ბიზნესის ტენდენციები და სახელმწიფოს მთავრობის სამოქმედო გეგმები ცხადყოფს, რომ გაგრძელდება ინფრასტრუქტურული პროექტები საქართველოს მასშტაბით, შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ინფრასტრუქტურის მშენებლობა საშუალებას მოგვცემს მონაწილეობა მივიღოთ კერძო თუ სახელმწიფო ტენდერებში და ამით გავზარდოთ არსებული პროექტების რიცხვი და გავიმყაროთ პოზიციები საქართველოს ბაზარზე.

აღსანიშნავია ჩვენი კომპანიის ჩართულობა ისეთ მაშტაბურ პროექტში როგორიცაა ანაკლიის პროექტი

აღსანიშნავია 2023 წელს ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის ჩართულობა ისეთ მაშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტში, როგორიცაა ანაკლიის ღრმაწლოვანი პორტის მშენებლობის პროექტში მონაწილეობის მიღება. ამ ტენდერში მონაწილეობა ხაზს უსვამს კომპანიის სანდოობასა და შესაძლებლობებს მართოს კომპლექსური და ფართომასშტაბიანი პროექტები. შემდგომში, 2024 წელს, კომპანიამ წარმატებით გაიმარჯვა ანაკლიის აღნიშნულ ტენდერში პორტის მშენებლობაზე, რაც ჩვენი კომპანიის პორტფელში მნიშვნელოვანი მიღწევაა.

განვითარების პერპექტივის თვალსაზრისით, კომპანია ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტზე საქართველოს მთავრობასთან ხელშეკრულების გაფორმების ბოლო ეტაპებზეა. დასრულების შემდეგ, ეს პროექტი არა მხოლოდ არსებითად შეუწყობს ხელს კომპანიის შემოსავალის ზრდას, არამედ გააძლიერებს მის რეპუტაციას, როგორც ლიდერის ინფრასტრუქტურულ სექტორში.

თავი 3. სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებთან მუშაობს ადამიანურ რესურსების მართვის სამსახური.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას უსაფრთხოების წესებს. სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს ბონუსური სისტემა, თითოეული კვალიფიკაციის პერსონალს აქვს თავისი ანაზღაურება (**დანართში** იხილეთ

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა დეპარტამენტების და დანაყოფების დეტალური აღწერით).



საწარმოში ანაზღაურება გვაქვს როგორც ყოველთვიური, ისე საათობრივი, დღიურად და შესრულებული სამუშაოს ერთეულის მიხედვით. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას

მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა,მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

ხელმძღვანელობა მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე ითვალისწინებს ამ დროისთვის საქართველოს მიერ „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)" რატიფიცირებულ 16 კონვენციას.

ორგანიზაცია უზრუნველყოფს, თანამშრომლებისათვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. მიზანი ორგანიზაციის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა. შესაბამისად ანხორციელებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა- ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრენინგებით და მოდულებით, როგორც ქართველი ისე უცხოელი სპეციალისტევის დახმარებით. ანხორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი

საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება მათთვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და ორგანიზაციის „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექციების განხორციელებით.

ორგანიზაციის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესი რაოდენობა მამრობით სქესის წარმომადგენელია, ამ ეტაპზე ძირითადად მხოლოდ ადმინისტრაციაში არიან დასაქმებულები მდემდრობითი სქესის თანამშრომლები. თუმცა აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციაში არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების დასაქმება. რადგან ორგანიზაციის სისტემაში მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ ორგანიზაციის საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით.

ორგანიზაცია იზიარებს ანტიკორუფციული სააგენტოების საერთაშორისო გამოცდილებასა და რეკომენდაციებს. ორგანიზაციის თითოეულ ბაზაზე და სამუშაო სივრცეში განლაგებულია მუდმივად მოქმედი სათვალთვალო კამერები, ასევე სამუშაოების მიმდინარეობის დროს რეგულარულად ხორციელდება სამუშაოს მონიტორინგი. ობიექტზე იმყოფებიან სამუშაოთა მწარმოებლები, რომლებიც იზიარებენ არსებულ პასუხისმგებლობას და ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად.

ორგანიზაციას არსებობის განმავლობაში არ აქვს გამოცდილება, დასჭირვებოდა ანტიკორუფციულ ქცევასთან დაკავშირებული რაიმე სამართლებრივი ღონისძიებები.

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი მუშაობს გამჭირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრობლობს ნებისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

თავი 4. - გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოება ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგრნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

• საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;

• რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;

- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი (კვარტალში ორჯერ)
- დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ და მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე.

ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოსა დასაცავად, რაც ჩვენი გრძლევადიანი გეგმების ზედმიწევით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში (OMS). გარემოსდაცვითი მენეჯმენტი სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება.

ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით გავატარეთ რიგი ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით ნარჩენების შესახებ. სახიფათო ნარჩენებს ვინახავთ კანონის შესაბამისად, ჩინური გამოცდილების გაზიარებით და მზად ვართ ვითანამშრომლოთ ადგილობრივ მონიტორინგის კომპანიასთან ამ სფეროში.

თავი 5. - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს. ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებების დასახვა და მონიტორინგი.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წამოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან,რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება და პროდუქციაზე და/ან ნედლეულზე ფასების ცვლილება არის ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად ობიექტზე საჭირო მარაგებს ვიძენთ პროექტის დაწყებისთანავე და მიღებული ავანსის მნიშვნელოვან ნაწილს მივმართავთ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, ორგანიზაციის მხრიდან პროცესის მუდმივი მონიტორინგის საჭიროებაზე.

გამოცდილებიდან ასევე გამოიკვეთა ისეთი ხელისშემშლელი ფაქტორები, როგორიცაა წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი. აღნიშნული მოვლენები საფრთხეს უქმინს როგორც ობიექტზე მომუშავე პერსონალს, ასევე პროექტის მიმდინარეობას და შესაბამისად მის მომგებიანობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიას ჰყავს უსაფრთხოების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს ყველა უსაფრთოების ნორმების და სტანდარტების დაცვას, რათა მაქსიმალურად იყოს დაზღვეული ადამიანის სიცოცხლე, ასევე ფინანსური კუთხით შემუშავებულია დაზღვევის სისტემა , რომელიც მინიმუმადე ამცირებს ფინანსური ზარალის რისკს.

ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს დაგეგმილი ბიუჯეტის გადახარჯვა, გაუთვალისწინებელი ფაქტორების გამო, რომელიც წარმოადგენს ფინანსურ პრობლემას კომპანიისთვის , რაც შესაბამისად გავლენას ახდენს პროექტის მომგებიანობაზე. ამ რისკების თავიდან ასაცილებლად, გარდა იმისა რომ ფინანსური გუნდი, პროექტის დაწყებამდე ადგენს ფინანსურ მოდელს და ბიუჯეტს, ასევე ყოველთვიურად ხდება მიმდინარე პერიოდის ბიუჯეტის მომზადება და შესაბამისი ზედამხედველობა ხარჯების კუთხით . ფინანსური განყოფილება ახდენს ძირითადი ცვლილებებისა და ბიუჯეტის გადახრების ანალიზს და შესაბამისად ხდება კორექტირებული ბიუჯეტის შედგენა და ყოველთვიური მონიტორინგი შესრულებული სამუშაობისა და ხარჯების კონტროლის კუთხით.

ხელმძღვანელობა უზრუნვეყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა აუდიტი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

რისკების და გაურკვევლობის პირობებში, მენეჯმენტი მზადაა გაამჟღავნოს კრიზისიდან გამოსასვლელად საჭირო გეგმები. აგრეთვე ხელმძღვანელობა აგრძელებს პოტენციური

გავლენების მონიტორინგს და მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერ ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად.

მმართველობითი ანგარიშგების დამტკიცება

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	*ფინანსური დირექტორი*
ვანგ ფუჰუა	*ბაია შავიშვილი*

მმართველობითი ანგარიშგების დამტკიცება

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

_____ *დირექტორი*

_____

ფინანსური დირექტორი

ვანგ ფუჰუა *ბაია შავიშვილი*